



საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია (Demography and Population Geography)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში (MSc in Demography)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 (ECTS)

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია დემოგრაფიაში მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლება:

- დემოგრაფიულ მეცნიერებათა ძირითადი თეორიების, დებულებების, კანონების სისტემური ანალიზი და მათზე დაყრდნობით სოციოლოგიური კვლევების ჩატარება;
- მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების განსაზღვრა დინამიკაში, როგორც მსოფლიოში, ასევე რეგიონულ და ცალკეული ქვეყნების ჭრილში;
- მიგრაციული პროცესების (მათ შორის კავკასიის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ) სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოვლენა და ანალიზი;

- დემოგრაფიის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სფეროებთან ურთიერთკავშირის განსაზღვრა;
- მიღებული ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ ნაწილში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის ხარისხი;
- ერთიან ეროვნულ სამაგისტრო გამოცდაში გამსვლელი ქულის მიღება;
- წერიტი გამოცდა სპეციალობაში;
- მიმღებ კომისიასთან გასაუბრება სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B1 დონე);
- პროგრამაზე დაიშვებიან ის უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ქართულ ენას (B2 დონე).

ქულების განაწილება:

გამოცდა სპეციალობაში - 40 %

გასაუბრება სპეციალობაში- 30 %

გასაუბრება ინგლისურ ენაში - 30 %

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს (მაგისტრს) ექნება/შეეძლება:

ცოდნა და გაცნობიერება:

1. სიღრმისეულად აღწეროს დემოგრაფიის ფუნდამენტური კონცეფციები, სისტემურად გაანალიზოს დემოგრაფილი თეორიები,

ამოცანები, პარადიგმები და სხვა პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და განსაზღვროს შესაძლო შედეგები;

2. კრიტიკულად დაამუშავოს დემოგრაფიული მაჩვენებლები სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით და მათ საფუძველზე მოახდინოს დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობის დადგენა, პროგნოზების გაკეთება;

3. ღრმა სისტემური ცოდნა შემდეგ სფეროებში:

- კვლევის მეთოდები დემოგრაფიაში: მათემატიკური, სტატისტიკური, სოციოლოგიური
- მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციული პროცესები, მათი გეოგრაფია, გამომწვევი მიზეზები და შედეგები
- დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების მოდელების შექმნასა და მათი იმპლიმენტაციისათვის საჭირო კომპლექსური მონაცემების ანალიზი (დემოგრაფია 1, დემოგრაფიან 2, დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 1, დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 2, დემოგრაფიული სტატისტიკა 1, დემოგრაფიული სტატისტიკა 2)

უნარები:

4. გამოიყენოს დემოგრაფიული თეორიების სხვადასხვა ასპექტის მისადაგება/გამოყენება თანამედროვე დემოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში;

5. დამოუკიდებლად განახორციელოს დემოგრაფიული მაჩვენებლების დამუშავება და ანალიზი კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებით;

6. საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების დემოგრაფიული განვითარების ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შედარებითი ანალიზის დემონსტრირება და მათი გამომწვევი მიზეზებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;

7. წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები სხვადასხვა ქვეყნების მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად.

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა:

8. დამოუკიდებლად გამოიყენოს შესწავლილი მეთოდები და მეთოდოლოგია, განსაზღვროს პრობლემები, მოახდინოს მათი ანალიზი, შეფასება და დაგეგმოს ცოდნის შემდგომი გავრცელება;

9. გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციები ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შესატანად, როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო აქტივობით.

სწავლება-სწავლის მეთოდები

აღწერა და შეფასება

პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართული თითოეული კურსი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც გამოიხატება ცოდნისა და უნარების მაღალი ხარისხის მისაღწევად სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის ეფექტურ განსაზღვრაში.

სამაგისტრო პროგრამის სხვადასხვა კურსში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს მიეკუთვნება:

- ვერბალური/წერიითი

- წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობა
- ახსნა - ინტერაქციული ლექციები
- დამოუკიდებელი კვლევა - სემესტრული (სასწავლო კურსების მიხედვით) და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება
- დისკუსია/დებატები
- პრაქტიკა
- პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული ზემოთ აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა, შეფასების სისტემასთან ერთად, უზრუნველყოფს სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ცოდნა და გაცნობიერება - სტუდენტები ყოველკვირეულად დამოუკიდებლად ეცნობიან სავალდებულო საკითხავ ლიტერატურას, რომელიც ახსნილია ლექტორის მიერ ინტერაქციულ ლექციებზე, არჩევენ მას დისკუსია-დებატების, შემთხვევების ანალიზისა და ლექტორის მხრიდან დამატებითი ახსნის გზით; აქვთ შესაძლებლობა მიიღონ დამატებითი ინდივიდუალური კონსულტაციები მათთვის გაუგებარი ან საინტერესო საკითხების გასარკვევად;

უნარები - დამოუკიდებელი მუშაობისა და ლექტორთან/ჯგუფთან კომუნიკაციის იტერაქციულ პროცესში სტუდენტები იძენენ კრიტიკული ანალიზისა და აკადემიური კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს. წერიითი დავალებების შესრულებით და პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვით სტუდენტები იძენენ და იმტკიცებენ დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის უნარებს

ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა - სწავლების პროცესში მიღებული ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, ამზადებს სტუდენტს მიღებული განათლების გამოყენებისთვის რეალურ დამოუკიდებელ საქმიანობაში; ავითარებს მათ უნარს გაიღრმავონ ცოდნა დამოუკიდებლად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრება/აქტიურობას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, სასემინარო და პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელ მეცადინეობას; გ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; დ) დამოუკიდებელ კვლევით საქმიანობას.

| შეფასების სისტემა | | |
|-------------------|---------|--|
| A | 91 -100 | ფრიადი |
| B | 81 -90 | ძალიან კარგი |
| C | 71 -80 | კარგი |
| D | 61 -70 | დამაკმაყოფილებელი |
| E | 51 - 60 | საკმარისი |
| FX | 41 - 50 | ვერ ჩააბარა, სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება შედეგის გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში |
| F | 0 – 40 | ჩაიჭრა, სტუდენტმა კრედიტის მიღებისთვის თავიდან უნდა გაიაროს კურსი |

გათვალისწინებულია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის N3 ბრძანება, რომლის მიხედვით: საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.“

დასაქმების სფეროები

პროგრამაზე მუშაობის დროს მიმდინარეობდა კონსულტაციები დამსაქმებელებთან, რომ მათთან ერთად განსაზღვრულიყო ის კონკრეტული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც მოეთხოვება კურსდამთავრებულს შრომის ბაზრის კონკრეტული სფეროს მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

საქართველოში არსებობს, როგორც სახელმწიფო (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროები, სტატისტიკის ეროვნული სამსახურები, სამეცნიერო დაწესებულებები), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ჭირდებათ დემოგრაფიის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის სპეციალისტები, რათა პროფესიულად შეისწავლონ, გააანალიზონ და დაგეგმონ მოსახლეობის განვითარების, მათ შორის სულ უფრო მზარდი მიგრაციული პროცესები. შესაბამისად, დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ აღნიშნულ დაწესებულებებში დასაქმებას.

სწავლის საფასური

სწავლის საფასური: 2250 ლარი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პედაგოგი, აქედან თსუ-ს: 1 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი და 3 მოწვეული.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, მეოთხე აკადემიურ კორპუსში (ილია ჭავჭავაძის გამზირი N 14, სადაც მიმდინარეობს ძირითადი სწავლება) განლაგებულია სათანადო ინვენტარით, აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ თსუ-ს და ფაკულტეტის აუდიტორიებითა და ბიბლიოთეკებით სამკითხველო დარბაზებით, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერებით და სხვა საჭირო ტექნიკით.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია და ხელმისაწვდომია თსუ-ს ბიბლიოთეკებში.

მაგისტრანტებს ასევე წვდომა ექნებათ ელ. ბაზებზე, სადაც განთავსებულია უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და პუბლიკაციები (Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR).

დამატებითი ინფორმაცია

1.1. პროგრამის ანალოგი:

სამაგისტრო პროგრამა - დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია, ფართოდ არის დანერგილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის, როგორც პროფესიის დაუფლება უმეტეს შემთხვევაში

ხორციელდება სწორედ სამაგისტრო პროგრამების მეშვეობით. მაგ. მსგავსი პროგრამები ხორციელდება შემდეგ უნივერსიტეტებში:

1. კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი, სამაგისტრო პროგრამა დემოგრაფიაში (ამერიკის შეერთებული შტატები) - <http://www.demog.berkeley.edu/students/demogprogram.shtml>
2. ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამაგისტრო პროგრამა დემოგრაფიაში (ამერიკის შეერთებული შტატები) - http://popcenter.fsu.edu/students_graduate.cfm
3. პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ამერიკის შეერთებული შტატები) - <http://www.pop.psu.edu/general/dual-degree/dual-degree.htm>;
4. სტოკჰოლმის უნივერსიტეტი (შვედეთი) - http://www.suda.su.se/courses_sub_master.asp;
5. ავსტრალიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი - <http://adsri.anu.edu.au/study/gradcert.php>).
6. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (რუსეთი) - <http://www.demostudy.ru/magistr.htm>;
7. უმეას უნივერსიტეტი, სოციალური სტატისტიკა და დემოგრაფია (შვედეთი) - <https://www.umu.se/en/contact-us/maps/>
8. მონრეალის უნივერსიტეტი, დემოგრაფიის დეპარტამენტი (კანადა) - <https://demo.umontreal.ca/accueil/>
9. გრონინგემის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) - <https://www.rug.nl/masters/population-studies/?lang=en>
10. საუზჰემპტონის უნივერსიტეტი, სოციალური სტატისტიკა და დემოგრაფია (დიდი ბრიტანეთი) - https://www.southampton.ac.uk/demography/postgraduate/taught_courses/pgdip_msc_demography.page

1.2. რა რაოდენობის სტუდენტთა მომსახურება შეუძლია პროგრამას: 20 სტუდენტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

დეპარტამენტი/მიმართულება: საზოგადოებრივი გეოგრაფია

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა/ECTS: 120

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: დადგენილება №99/2019 -22 ივლისი; დანართი 219

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): დადგენილება №76/2020 - 30 ივლისი, 2020

პროგრამის სტრუქტურა

| სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი | | | | | | | | | | | | |
|--|------|-----------------------------|------|--------------------------------|------------------------|-----------|---------------|-----|-------------------------------------|--------------------|------------|-------------------------------------|
| № | კოდი | სასწავლო კურსის სახელწოდება | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | ლექტორი / ლექტორები |
| | | | | საკონტაქტო | | | დამოუკიდებელი | სულ | | შემოდგომის | გაზაფხულის | |
| | | | | ლექცია | სემინარი/სამუშაო ჯგუფი | საგამოცდო | | | | | | |
| სავალდებულო სასწავლო კურსები 70 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
| 1 | | დემოგრაფია 1 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 2 | | დემოგრაფია 2 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | დემოგრაფია 1 | | ✓ | ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე |

| | | | | | | | | | | | | |
|---|--|--|---|----|----|---|----|-----|--------------------------------------|---|---|-------------------------------------|
| 3 | | დემოგრაფიული სტატისტიკა 1 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 4 | | დემოგრაფიული სტატისტიკა 2 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | დემოგრაფიული სტატისტიკა 1 | | ✓ | ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 5 | | დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 1 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 6 | | დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 2 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | დემოგრაფიული ანალიზი და მოდელირება 1 | ✓ | | ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 7 | | მიგრაციული პროცესები და გეოგრაფია | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ასოცირებული პროფესორი ია იაშვილი |
| 8 | | ქვეყნის შიდა რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარება | 5 | 30 | 15 | 9 | 71 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | მოწვეული ლექტორი რუსუდან თევზაძე |
| 9 | | საქართველოს მოსახლეობა 1 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |

| | | | | | | | | | | | | |
|---|--|--------------------------------------|----|----|-----|---|-----|-----|---|---|---|--|
| 10 | | საქართველოს მოსახლეობა 2 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | საქართველოს მოსახლეობა 1 | | ✓ | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 11 | | სოციალური კვლევის მეთოდები | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ასოცირებული პროფესორი თეონა მატარაძე |
| 12 | | პრაქტიკა | 10 | - | 220 | 6 | 24 | 250 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 13 | | სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | მოწვეული ლექტორი დავით სიჭინავა |
| პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი) | | | | | | | | | | | | |
| 14 | | სამაგისტრო ნაშრომი | 30 | | 60 | | 690 | 750 | მინიმუმ 80 კრედიტი (ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი) | ✓ | ✓ | სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. |
| არჩევითი სასწავლო კურსები 20 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | |
| 15 | | მოსახლეობის განვითარების კონცეფციები | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ასოცირებული პროფესორი ანზორ სახვაძე |

| | | | | | | | | | | | | |
|----|--|---|---|----|----|---|----|-----|-----------------------|---|---|---|
| 16 | | დემოგრაფიული პოლიტიკა | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | დემოგრაფია 2 | ✓ | | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 17 | | კავკასიის მოსახლეობა | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 18 | | მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია | 5 | 15 | 15 | 6 | 89 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | ასოცირებული პროფესორი გიორგი კვინიკაძე |
| 19 | | მსოფლიოს მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | დემოგრაფია 2 | ✓ | | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 20 | | განვითარების გეოგრაფია (სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან) | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ასოცირებული პროფესორი ვალერიან მელიქიძე |
| 21 | | კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | მოწვეული ლექტორი ნიკოლოზ მაღლაფერიძე |
| 22 | | დარგობრივი ინგლისური ენა1 (სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან) | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი |

| | | | | | | | | | | |
|----|---|---|----|----|---|----|-----|--|---|---|
| 23 | ინგლისური ენა 2 (სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამიდან) | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | დარგობრივი ინგლისური ენა 1 | ✓ | ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი |
| 24 | მდგრადი განვითარება და სოციალური პოლიტიკა | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | ასისტენტ პროფესორი ჯაბა უროტაძე |
| 25 | კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში (პრაქტიკული) | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | კომპიუტერული პროგრამები დემოგრაფიაში | ✓ | მოწვეული ლექტორი ნიკოლოზ მაღლაფერიძე |

- გათვალისწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ფაკულტეტის ბეჭედი